სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში მოსწავლეთა მიღების განმარტებითი ბარათი

სასწავლებელში შექმნილია მეტად ეფექტური სწავლების მეთოდიკა, ეს ხანგრძლივი და მრავალსაფეხურიანი პროცესია, რაც თავის მხრივ ქმნის ერთგვარ სისტემას, შემდგარს სხვადასხვა ურთიერთდამოკიდებული კომპონენტებისაგან.

მომავალი მსახიობი უნდა იყოს ფიზიკურად ჯანმრთელი (მათ შორის უნდა ჰქონდეს კარგი მხედველობა, სმენა, ნორმალურად მომუშავე ვესტიბულარული აპარატი), ფლობდეს პროპორციულად სწორ სხეულის ფორმებს, რომელიც აკმაყოფილებს კლასიკური ცეკვის მოთხოვნებს, საჭირო "პროფესიონალურ" მონაცემებს (ფეხების გადახსნილობა, ტერფის მაქსიმალური დაჭიმულობა და სხვა). მუსიკალურობის და მსახიობის ნიჭი – ესეც აუცილებელი თვისებრიობაა, რომელიც გასათვალისწინებელია შერჩევის დროს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ დაწყებით წლებზე ზოგიერთი სხეულის პროპორციების ნაკლოვანებები შესაძლებელია იყოს გამოსწორებადი შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ არ შეიძლება იყოს ეს ნაკლოვანება გამოსწორებული ბავშვის ზრდის და სწავლის პროცესში სასწავლებელში ისინი არ მიიღებიან.

დაწყებით ეტაპზე შეისწავლება პრეტენდენტის ე.წ. გარეგნული – სცენური ფორმები, სხეულის ფორმები და პროპორციები (ტორსის, ფეხების, ხელების, კისრის და თავის ფორმები), მიმიკის გამომსახველობა.

შემდეგ იწყება პრეტენდენტის შერჩევა მისაღებ გამოცდებზე, რომელიც შედგება ორი ტურისაგან (ეტაპისაგან). როგორც აღინიშნა სასწავლებლის სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლებელში მისაღები პრეტენდენტებისთვის სავალდებულო იყო სპეციალური სამედიცინო ტურის გავლა, რომელიც ტარდებოდა „სახელმწიფო სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაცის ჯანმრთელობის ცენტრში".
აღნიშნულმა დაწესებულებამ კოვიდ-პანდემიის პერიოდიდან შეწყვიტა ფუნქციონირება, რამდენიმე კლინიკის ბაზაზე არსებული სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის განყოფილებიდან არცერთი არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს (სასწავლებლის სპეციფიკიდან გამომდინარე არ ტარდება სრულყოფილი გამოკვლევები). ამიტომ მიზანშეწონილად მივჩნიეთ , რომ პრეტენდენტებმა ინდივიდუალურად გაიარონ სამედიცინო შემოწმება და წარმოადგინონ შემოვლის ფურცელი - ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა ფორმა №100. ამჟამად პრეტენდენტების დაშვება I ტურზე ხდება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, ფორმას 100-ის საფუძველზე.

ტანადობა – კლასიკური ცეკვის გაკვეთილების მეცადინეობისათვის საჭიროა გქონდეს არა მარტო პროპორციული აღნაგობა, არამედ, ასევე, სწორი ტანადობა. ტანადობას ბალეტში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება

1. ნორმალური ტანადობა 2. ტანადობა გადახრით

ბალეტის მსახიობის ტანადობა ყალიბდება განსაკუთრებულ რეჟიმში და ამიტომ განსხვავდება ადამიანის ჩვეულებრივი ტანადობისაგან. ნორმალური (სწორი) ან ადამიანის ფიზიოლოგიური ტანადობა ფასდება კომპლექსში. კორპუსის (ტორსის) აგებულება კავშირშია კისრის, თავის, ფეხების (ტერფებამდე) აგებულებასთან .ნორმალური (სწორი) ტანადობა და ტანადობა გადახრებით

რა თქმა უნდა, ამავე დროს გვხვდებიან პრეტენდენტები, ტანადობაში შესამჩნევი სხვადასხვა გადახრებით. მათ მიეკუთვნება: ბეჭების ასიმეტრია (ოდნავ შესამჩნევი სქოლიოზი), წელში გაღუნული (ლორდოზი), მოხრილობა (კიფოზი), როგორც გადახრა ტანადობაში, აგრეთვე ი – ს მსგავსი და X-ს მსგავსი ფეხები.

X – ს მსგავს ფეხებში მუხლების შიდა კუნთები შედარებით გრძელია, ხოლო გარეთა – მოკლე.

ი – ს მსგავს ფეხებში მუხლების შიდა კუნთები დამოკლებულია და თეძოები ერთმანეთისგან დაშორებულია. ზოგიერთი მსგავსი ფორმები (X-ს, ი-ს) ექვემდებარება გასწორებას შესაბამისი სპეციალური ვარჯიშების გამოყენებით.

მაგრამ, შესაძლებელია, ტანადობაში შეგვხვდეს ისეთი გადახრები, რომელიც არ ექვემდებარება გამოსწორებას, ანუ გამოუსწორებელია.

კლასიკური ცეკვის სწავლებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრეტენდენტებში სხვადასხვა ანატომიურ – ფიზიოლოგიური თავისებურებების არსებობას, ისეთი, როგორიცაა "ფეხების გადახსნილობა" ტერფის აგებულების განსაზღვრა ("ტერფის მაქსიმალური დაჭიმულობის" არსებობა), გარკვეულ სიმაღლეზე ფეხის აწევის შესაძლებლობა („საბალეტო ნაბიჯი"), სხეულის წელადობა, თავისუფლად, მსუბუქად ხტომის შესაძლებლობა, - ყველაფერ ამას ბალეტში ეწოდება – პროფესიონალური მონაცემები.

ფეხების გადახსნილობა , ანუ ფეხების გადახსნის, გადაშლის უნარი (თეძოს, წვივის და ტერფის) ენ დეჰორს – ის მდგომარეობაში (გარეთ), როდესაც თეძოს კორპუსი სწორად დაყენებულია, ფეხები, წვივები და ტერფები გადახსნილია შიგნითა მხრიდან გარეთ.

ფეხების გადახსნილობა დამოკიდებულია ორ ძირითად ფაქტორზე: პირველ რიგში მენჯ – ბარძაყის სახსრის აგებულებაზე, მეორე – ფეხების გადახსნილობა დამოკიდებულია მომავალი მსახიობის ფეხების აღნაგობაზე. ბავშვებში წვივების და ტერფების ფორმირება სრულდება თორმეტი წლის ასაკისათვის. ამ დროისათვის ტერფების წვერები ბავშვებში გადახსნილია ან გარეთ ან შიგნით.

ტერფი – ანატომიურ და ფუნქციონალურ შეთავსებაში რთული აპარატია, წარმოადგენს ადამიანის ტანის საყრდენს და ასრულებს თანასწორობის რეგულატორის ფუნქციას, ხელს უწყობს ტანს სიარულის, სირბილის და ხტომის დროს, კლასიკურ ცეკვაში კი არანაკლებ ესთეთიურ როლს ასრულებს. ფეხის მაქსიმალურად ლამაზად დაჭიმული ტერფით მსახიობი საცეკვაო ნახაზში ქმნის სრულყოფილ სურათს.

ანატომიური აგებულებით ტერფის სახეობებია: ნორმალური, კამაროვანი და ბრტყელი. ტერფს აქვს ორი გრძივი ჭრილი: შიდა და გარეთა. შიგნითა (რესორული) ჭრილის სიმაღლეა 5 – 7 სმ; გარეთა (საყრდენი) დაახლოებით – .2 სმ.სხეულის

მოქნილობა ერთ-ერთი მთავარი პროფესიონალური მოთხოვნილებაა მათთვის, ვინც აპირებს კლასიკური ცეკვის შესწავლას. სხეულის მოქნილობა დამოკიდებულია ხერხემლის მოქნილობაზე.

ნახტომი ანიჭებს ცეკვას მისთვის საჭირო დამახასიათებელ თვისებებს: სიმსუბუქეს, ჰაეროვნებას და ამიტომ წარმოადგენს მის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს.

ნახტომისათვის აუცილებელი თვისება, რომელიც ბალეტში იწოდება ბალლონ – შესაძლებლობა მაღლა ახტომის და ნახტომის დროს პოზის შეინარჩუნება.

ნახტომი – ერთ-ერთი აუცილებელი პროფესიონაური მოთხოვნილებაა მოცეკვავის მიმართ. ნახტომის სიმაღლე დამოკიდებულია კუნთების ძალაზე.

მოძრაობათა კოორდინაცია

მამოძრავებელ ფუნქციათა შორის კლასიკურ ცეკვაში მთავარი არის მოძრაობათა კოორდინაცია. არსებობს კოორდინაციის სამი ძირითადი სახეობა: ნერვული, კუნთობრივი, მამოძრავებელი.

ნერვული კოორდინაცია – ეს არის შეთანხმებითი პროცესი ეფექტო-ნერვულ პროცესთან, რომელსაც კონკრეტულ პირობებში მივყავართ მამოძრავებელი ამოცანის ამოხსნისაკენ. ნერვული სისტემის მეშვეობით და სხვა გზებით ორგანიზმში გადაეცემა სიგნალები, რომლებიც ხდებიან მართვადი, ეს სიგნალები ერთიანდებიან და ქმნიან ე.წ. "გრძნობებს". ესენი შეიძლება იყოს: რითმის გრძნობა, წონასწორობის, სხვადასხვა პოზების, ტანადობის და ა. შ. ისინი ჩაბეჭდილი უნდა იყოს მეხსიერებაში. მოძრაობების დამახსოვრება ანუ პროფესიონალური მეხსიერება კოორდინაციის ერთ-ერთი თავისებურებაა, დამოკიდებული მხედველობით და ვესტიბულრული აპარატის მუშაობაზე.

კუნთობრივი კოორდინაცია – ეს არის კუნთების დაჭიმულობის პროცესი, რომელთა დამტვირთავი ძალა მიმართულია სხეულზე. კუნთური კოორდინაცია განისაზღვრება ნერვული კოორდინაციით და ასევე დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა საბაბზე.

მამოძრავებელი კოორდინაცია – ეს არის პროცესი სხეულის მოძრაობათა შეთანხმება გარემოებასა და დროსთან, შესაბამისი კონკრეტული ამოცანის კონკრეტულ პირობებში ამოსახსნელად.

მუსიკალურ – რითმული კოორდინაცია – სხეულის ნაწილების კოორდინირების უნარი დროსა და გარემოებაში მუსიკის ქვეშ „კონკრეტული ამოცანის" ამოსახსნელად.

სიმყარე – (სხეულის აპლომბი) – რომლის ხარისხი დამოკიდებულია როგორც აგებულების კოორდინაციაზე, ასევე დინამიკაზე. სიმყარის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ხერხემალი.

სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში სწავლების პირველ წელზე მისაღები კონკურსის და სწავლების მეექვსე წელზე შესარჩევი/გადასაყვანი (განხრების შესაბამისად) გამოცდების პირობები

მისაღებ კონკურსზე დაიშვებიან პრეტენდენტები, რომელთა ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოსადეგია ბალეტის შესასწავლად (სწავლების პირველ წელზე 9-10 წლის, (საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეები), ხოლო სწავლების მეექვსე წელზე (განხრების შესაბამისად შესარჩევ გამოცდებზე) სწავლების ხუთ წელ დამთავრებულები ან შესაბამისი ცოდნის პრეტენდენტები). მიღება სასწავლებელში წარმოებს საკონკურსო სისტემით – ტურების მიხედვით.

სწავლების მეექვსე წელზე კონკურსის საფუძველზე შეირჩევიან მოსწავლეები, რომლებიც აკმაყოფილებენ კლასიკური და სახასიათო ცეკვის ე. წ. „პროფესიონალურ“ მოთხოვნებს (I ტური – სამედიცინო და II ტური – მხტვრულ-პროფესიონალური მონაცემები). პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მიღებული კლასიკური და სახასიათო ცეკვის დაწყებითი განათლება, რომელიც მოიცავს საერთო პროგრამას (სასწავლებლის I - V წლების ჩათვლით, ან შესაბამისი ცოდნის პრეტენდენტები).

სწავლების მეექვსე წელზე მოსწავლეებმა თანმიმდევრული სირთულის მიხედვით უნდა წარმოაჩინონ მაღალი საშემსრულებლო კულტურა: ცეკვის ტექნიკის სრულყოფილი ფლობა, მკაცრი აკადემიური სტილი, პლასტიკური გამომხატველობა, შესაძლებლობა გადმოსცეს ცეკვის დროს გამოყენებული მუსიკის ხასიათი და მისი ემოციური შინაარსი, კოორდინაცია და არტისტიზმი, ანსამბლის ერთობლიობის (ცეკვა, პლასტიკა, მუსიკალურობა–რითმიულობა, კოორდინაცია და არტისტიზმი) გრძნობა.

ორივე ტურში უნდა შეივსოს ინდივიდუალური ბარათები პროფესიონალური მონაცემების შესაფასებლად, სპეციალურად შემუშავებული „შეფასების“ ფორმის მიხედვით. სწავლების პირველი წლის და სწავლების მეექვსე წლის „შეფასების“ ფორმები განსხვავდება.

ფასიან სწავლებაზე დაიშვებიან საკუთარი სურვილით ის პრეტენდენტები, რომლებიც გაივლიან საერთო მისაღებ გამოცდებს (ორ ტური), მაგრამ ვერ დააგროვებენ საკმარის შეფასებას და გადაიხდიან სწავლების საფასურს დადგენილი თანხის ოდენობით.

სასწავლებელში ფასიანი სწავლების ფორმა მოიცავს მხოლოდ I „საფეხურს“ (I-V წლის ჩათვლით).

პრეტენდენტების დაშვება I ტურზე ხდება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, ფორმას 100-ის საფუძველზე.

საგამოცდო I ტური ტარდება სპეციალურად გამოყოფილ საბალეტო დარბაზებში, სადაც კომისიის წევრები ეცნობიან ჩამბარებელი პრეტენდენტის გარეგნულ – სცენიურ და ფიზიკურ – პროფესიონალურ მონაცემებს.

II ტურის გამოცდები ტარდება საბალეტო დარბაზში. სადაც საბოლოოდ ფასდება გარეგნულ – სცენიური და პროფესიონალური ფიზიკური მონაცემები, განისაზღვრება პრეტენდენტის მხატვრული ნიჭიერება.

საბუთების გაფორმებას აწარმოებს მიმღები კომისიის მდივანი. კომისიის ყოველი წევრი ნიშანს წერს ხუთქულიანი შეფასების სისტემით, შესაფასებელი საგამოცდო ფურცლის კონკრეტულად მითითებული პუნქტების მიხედვით. შეფასების ფურცელში მოცემულია აღწერა ქულით, თუმცა შემფასებლის გადასაწყვეტია დააკლებს თუ მოუმატებს ქულას, მაგალითად / მხრები - 5 ქულა უწერია - ნორმალურს, კომისიის წევრმა შესაძლოა დაწეროს 4 ქულა და ა.შ. /. ქულების შეკრების შემდგომ კომისიის წევრებს გამოყავს საშუალო ქულა და გაიცემა შესაბამისი დასკვნა – რეკომენდაცია. მოსამზადებელ ჯგუფებში, კლასიდან კლასში გადასაყვანი, სწავლების პირველიდან - მეხუთე წლის ჩათვლით, სწავლების მეექვსე წელზე შესარჩევი/გადასაყვანი თუ სხვა ყველა საგამოცდო კომისიის წევრებს და თავმჯდომარეს ნიშნავს დირექტორი. გამოცდის შედეგები ფორმდება შესაბამისის ოქმით.

I ტურის კომისიის წევრების შემადგენლობა შეიძლება იყოს: თავმჯდომარე – სამხატვრო ხელმძღვანელი, ოთხი – ექვსი წევრი (პედაგოგ-სპეციალისტები) , კონცერტმაისტერი და სასწავლებლის ექიმი.

II შესარჩევი ტურის კომისიის შემადგენლობა შესაძლებელია იყოს: თავმჯდომარე - სამხატვრო ხელმძღვანელი, კომისიის წევრები - 4-6 პედაგოგ-სპეციალისტის შემადგენლობით, კონცერტმაისტერი და სასწავლებლის ექიმი.

1. საკონკურსო შერჩევის წესით მიიღებიან 9-10 წლის ბავშვები, ხოლო სწავლების მეექვსე წელზე, განხრების შესაბამისად შესარჩევ გამოცდებზე, სწავლების ხუთ წელ დამთავრებულები მოსწავლეები ან შესაბამისი ცოდნის პრეტენდენტები.
2. განცხადება პრეტენდენტის მიღების შესახებ იწერება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ სასწავლებლის დირექტორის სახელზე, განცხადებას თან ერთვის:

- ცნობა სკოლიდან შესაბამისი კლასის დამთავრების შესახებ;
- ცნობა ან დამადასტურებელი საბუთი პრეტენდენტის მიერ შესაბამისი დაწყებითი განათლების მიღების შესახებ (მხოლოდ სწავლების მეექვსე წლისათვის);
- დაბადების მოწმობის ასლი
- ორი ფოტო-სურათი 3/4;
- მოსწავლის ბარათი შესაბამისი სკოლიდან,
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი და სხვა.

მისაღები კონკურსისა და განხრების შესაბამისად შესარჩევი გამოცდების ტურები

როგორც უკვე ავღნიშნეთ, პრეტენდენტების დაშვება I ტურზე ხდება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, ფორმას 100-ის საფუძველზე.

კომისია აფასებს პრეტენდენტის გარეგნულ, სცენურ და პროფესიონალურ-ფიზიკურ მონაცემებს, ყველაფერი ფიქსირდება I ტურის საგამოცდო შესაფასებელ ფურცელზე და გაიცემა შესაბამისი დასკვნა (რეკომენდაცია) მეორე ტურზე დაშვებისათვის.

კომისიაზე პრეტენდენტები დაიშვებიან ჯგუფებად (10 – 12 პრეტ.). მათ აყენებენ სახით კომისიის წევრებისაკენ ისე, რომ კომისიას საშუალება ჰქონდეთ გამოარჩიონ პროპორციულად სწორი აღნაგობის მქონე ბავშვები და მოზარდები. ამის შემდეგ იწყება თითოეული პრეტენდენტის გაცნობა ცალკეულად. შეისწავლება ვიზუალური ფორმები და სხეულის პროპორციები დგომით მდგომარეობაში ოთხი რაკურსით: სახით, მარცხენა და მარჯვენა მხარეს და უკან. უპირატესობა ენიჭებათ დოლიგომორფული ტიპის აღნაგობის მქონე ბავშვებსა და მოზარდებს: წვრილძვლიანი, ნორმალური ან ოდნავ წაგრძელებული კორპუსით, ვიწრო ან ნორმაში მჯდარი მხრებით, გრძელი სწორი კორპუსით, ასეთივე ხელებით, ხელების თხელი თითებით და მტევნებით, ერთნაირი სიგრძის ტერფებით, თავი და კისერი პროპორციული ბავშვის ან მოზარდის სხეულთან, გამომხატველი სახე.

კლასიკური ცეკვის შესასწავლად დაიშვებიან პრეტენდენტები, აგრეთვე, საშუალო ან მეზომორფული ტიპის აღნაგობით, რომლებიც ფლობენ სცენურ გარეგნობას. ბიჭების მიღებისას საშუალო მეზომორფული ტიპის აღნაგობას უპირატესობაც კი ენიჭება.

არ მიიღებიან პრეტენდენტები, რომლებიც გამოიყურებიან არასცენიურად. არ მიიღებიან ბრაქიმორფოზული ტიპის აღნაგობის მქონე პრეტენდენტები. ისინი გამოირჩევიან განიერი და სხეულის დამოკლებული პროპორციებით: გრძელ ტანთან შედარებით მოკლე ფეხები, განიერ მხრებთან შედარებით ვიწრო მენჯით.

თავი – უარყოფითი ნიშნები: არაპროპორციულად დიდი თავი, კუთხოვანი ფორმის თავი, დიდი ქვედა ყბა, დიდი ნიკაპი, ცხვირის უშნო ფორმა, ყურები, წინა კბილების დეფორმაცია.

კისერი – აკრძალულია მოკლე და განიერი კისრის ან ძალიან გრძელი კისრის მქონე ბავშვებისა და მოზარდების მიღება.

მხრები – არ მიიღებიან პრეტენდენტები აწეული, ასიმეტრიული, ფართო და კუთხოვანა ფორმის ბეჭებით.

ხელები – უარყოფით ნიშნებად მიიჩნევა იდაყვის სახსარში ზედმეტად გადაწეული ხელები ან პირიქით, მოკლე ხელები.

ხერხემალი – არ მიიღებიან პრეტენდენტები გაღუნული ხერხემლით, ეს არის გამოკვეთილი „კიფოზი“: (მოხრილობა ან „მრგვალი ზურგი”, გამოკვეთილი მეორე და მესამე ხარისხის სქოლიოზი.)

მენჯი – მიუღებელია განიერი მენჯის მქონე ბავშვისა და მოზარდის მიღება, ქვევით დასმული მენჯით, ზედმეტი ან მასიური, დიდი თეძოებით, დიდი და განვითერბული დუნდულის კუნთებით.

მუცელი – არ მიიღებიან დიდი მუცლის მქონე პრეტენდენტები.

ფეხები – არ მიიღებიან ბავშვები და მოზარდები მკაცრად გამოხატული X – ის და ი-ს მსგავსი ფეხებით.

ტერფები – დიდი და განიერი ტერფის მქონე პრეტენდენტებს და ბრტყელტერფიანებს ეკრძალებათ კლასიკური ცეკვის შესწავლა.

საერთო სცენიური მონაცემების შემოწმების შემდეგ კომისია იწყებს პროფესიონალური მონაცემების შემოწმებას, ისეთების, როგორიცაა: ფეხების გადახსნილობა.

ფეხების გადახსნილობის შემოწმებისათვის გამოიყენება პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული მეთოდები:

- **ბავშვს ან მოზარდს აყენებენ ძელთან I პოზიციაში და ასრულებინებენ გრანდ პლიე-ს;**
- **“ბაყაყი” – ფეხების გადახსნილობის შემოწმება მენჯბარძაყის სახსარში;**
- **„ტერფის მაქსიმალურად დაჭიმულობის” არსებობის შემოწმება;**
- **საბალეტო ნაბიჯის შემოწმება.**

საბალეტო ნაბიჯის სიმაღლე ისაზღვრება ფეხების გადახსნილი მდგომარეობით სამ მიმართულებაში: გვერდზე, წინ და უკან. ჯერ ისინჯება ერთი ფეხი, შემდეგ მეორე საბალეტო ნაბიჯის შესამოწმებლად კანდიდატს აყენებენ ძელთან გვერდზე, ერთი ხელით ძელზე ან გამოჰყავთ დარბაზის შუაში, ფეხების I პოზიციიდან (კორპუსის სწორი მდგომარეობით) მუხლში გაჭიმული, გაჭიმული ტერფით მომუშავე ფეხს ნელ – ნელა სწევენ ჯერ გვერდზე, შემდეგ წინ და უკან.

სხეულის მოქნილობა – წელის გადაღუნვა წინ და უკან. კანდიდატს აყენებენ გამომცდელების წინ გვერდითი მხრით, გაჭიმული ფეხებით, გვერდზე გაწეული ხელებით. შემდეგ პრედენდენტი იღუნება უკან პედაგოგის დახმარებით.

ნახტომი – ნახტომის სიმაღლის შემოწმება – ნახტომები სრულდება რამდენჯერმე ზედმიწევნით რის შედეგადაც ხდება პრეტენდენტის ნახტომის სიმაღლის შეფასება..

სწავლების მეექვსე წელზე შესარჩევი/გადასაყვანი გამოცდა ტარდება საცეკვაო დარბაზში. წამყავნმა პედაგოგმა უნდა ანახოს სერთო კლასი განხრების შესაბამისად (კლასიკური და სახასიათო ცეკვა). მოსწავლეებმა თანმიმდევრული სირთულის მიხედვით უნდა წარმოაჩინონ: ცეკვის ტექნიკის სრულყოფილი ფლობა, მკაცრი აკადემიური სტილი, პლასტიკური გამომხატველობა, შესაძლებლობა გადმოსცეს ცეკვის დროს გამოყენებული მუსიკის ხასიათი და მისი ემოციური შინაარსი, კოორდინაცია და არტისტიზმი, ანსამბლის ერთობლიობის (ცეკვა, პლასტიკა, მუსიკალურობა–რითმიულობა, კოორდინაცია და არტისტიზმი) გრძნობა

მისაღები კონკურსის შერჩევის მეორე ტური

მეორე ტურზე განიხილება პროფესიონალური მონაცემები, აგრეთვე მოწმდება მუსიკალურობა, რითმიულობა, მოძრაობათა კოორდინაცია და არტისტულობა.

თავდაპირველად მოწმდება კანდიდატის მუსიკალურობა და რითმიულობა. პრეტენდენტები მუსიკის თანხლებით დადიან დარბაზში წრეზე. მუსიკის ტემპი უნდა იცვლებოდეს: ჩქარი, ნელი. კოორდინაციული თვისებების გარკვევა ბავშვებსა და მოზარდებში მოწმდება კომპლექსური ტესტირების საფუძველზე, რომელიც შეიცავს პედაგოგიურ, ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ამოცანებს.

კოორდინაცია, როგორც წონასწორობა, შეიძლება შემოწმდეს შემდეგნაირად:

ა) დარბაზის შუაში წინასწარ ცარცით დახაზულ სწორ ხაზზე კანდიდატმა უნდა შესძლოს გავლა ისე, როგორც დაჭიმულ თოკზე.

ბ) დადგეს ერთ ფეხზე მეორე აწეული უკან 45 – 60 გრადუსზე – ზე, ხელები კი გაშლილია გვერდზე. ამ პოზაში უნდა გაჩერდეს 8 წამის განმავლობაში. პრეტენდენტის მუსიკალურ-რითმული კოორდინაცია და არტისტულობა მოწმდება იოლი მოძრაობების შესრულებით. მაგალითად: სირბილი, სიარული, სხვადასხვა იმპროვიზირებული – საცეკვაო მონახაზის შესრულება მუსიკის თანხლებით.

გ) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კანდიდატების არტისტულობას, აგრეთვე მნიშვნელობა ენიჭება მისი შინაგანი ტემპერამენტის გამოვლენას, რომელთანაც ექნება შეხება პედაგოგს კლასიკური ცეკვის გაკვეთილების ჩატარების დროს.

მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებული პრეტენდენტების მიღებისას გასათვალისწინებელია ტანადობაში ნაკლოვანებების კორექტირების შესაძლებლობა მისი პროფესიონალური მონაცემების შემდგომი განვითარებისათვის, რადგან იდეალური ფორმები შერწყმული იდეალურ გარეგნობასთან ქორეოგრაფიაში ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

ვამტკიცებ
სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის
საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო
სასწავლებლის დირექტორი

სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის ფასიანი სწავლების შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. სასწავლებელი ფასიან სწავლებასთან დაკავშირებულ საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების, პედსაბჭოს რეკომენდაციებისა და სასწავლებლის დირექტორის ბრძანებების საფუძველზე.

2. სასწავლებელში ფასიანი სწავლება დაშვებულია:

ა) მოსამზადებელ ჯგუფებზე (5-9 წლის ასაკის ბავშვებისათვის);

ბ) სწავლების პირველი წლიდან სწავლების მეხუთე წლის ჩათვლით.

3. ფასიან და უფასო სწავლებაზე მოსწავლეთა მისაღები გამოცდების ინსტრუქცია და ტურების ფორმები იდენტურია.

4. სასწავლებელში ფასიან სწავლებაზე მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და სასწავლებელს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

5. სასწავლებლის ფასიანი სწავლების სექტორზე ჩაირიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებიც გაივლიან მისაღებ შესარჩევ ორ ტურს, მაგრამ ვერ დააგროვებენ საკმარის შეფასებას და გადაიხდიან სწავლების საფასურს დადგენილი ფორმითა და ოდენობით.

6. სასწავლებლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების მთელი პერიოდისათვის სპეც. საგნებში მოსწავლეთა მიერ ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით დასაშვებია მათი გადაყვანა ფასიანიდან უფასო და უფასოდან ფასიან სექტორებზე სასწავლებლის დირექტორის ბრძანებისა და საგამოცდო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

7. ფასიანი სწავლების სექტორის მოსწავლეებს მოსამზადებელი კურსის დამთავრების შემდეგ აქვთ შესაძლებლობა საკონკურსო წესით ჩააბარონ მისაღები გამოცდები სასწავლებლის სწავლების პირველ წელზე, ხოლო სწავლების მეხუთე წლის დამთავრების შემდეგ - გადავიდნენ სწავლების მეექვსე წელზე შესარჩევი (განხრების შესაბამისად) კონკურსის საფუძველზე.